
პლენარული სხდომა
Plenary Session

Dodo Chumburidze

დოდო ჭუმბურიძე

The University of Georgia

საქართველოს უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**A Piece of History of Diplomatic Relations between the Georgian Government –
in – Exile and Washington (1921-1933)**

**ვაშინგტონთან საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დიპლომატიური
ურთიერთობის ისტორიიდან (1921-1933)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10802>

The article deals with the policy pursued by the Georgian government-in-exile to establish diplomatic relations with the United States in 1921-1933, the assistance provided to the government-in-exile by members of the United States Congress and Senate, and the establishment of official diplomatic relations between the two countries. Despite the fact that Georgia was occupied and its exiled government was operating in Paris, those members of the US Congress and Senate who understood the difficulty of Georgia's situation supported it with their support - to have an official diplomatic representation in this great country of the world, which would help it more firmly oppose the Russian occupation regime.

Key words: USA, Russia, Occupation, Diplomatic relations, Government in exile

საკვანძო სიტყვები: აშშ, რუსეთი, ოკუპაცია, დიპლომატიური ურთიერთობები, ემიგრაციაში მყოფი მთავრობა

სახელმწიფოებრიობის ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში საქართველო ყოველთვის ცდილობდა გაეთვალისწინებინა ის საგარეო-პოლიტიკური საფრთხეები, რაც მას გეოპოლიტიკური გამოწვევებით ემუქრებოდა. უპირველეს ყოვლისა, აგრესორი სახელმწიფოების ექსპანსიისაგან თავის დასაცავად ჭირდებოდა ძლიერი მოკავშირეები, რომელთა თანადგომა დაეხმარებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაში.

შუა საუკუნეებიდან ასეთ მოკავშირედ ქართველ ხალხსა და მის პოლიტიკურ ელიტას დასავლეთის ქვეყნები მიაჩნდა, მე-20 საუკუნეში კი სასურველ პარტნიორად იქცა ამერიკის შეერთებული შტატები, განსაკუთრებით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გამოიკვეთა ამ ქვეყნის ლიდერობა მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას, ქვეყნის გაწევრიანებას ერთა ლიგაში, ქვეყნის მშვიდობიანი სა-

ხელმწიფოებრივი განვითარების შესაძლებლობის მოპოვებას. საქართველოსთვის ურთულეს 1918-1921 წლებში, რუსეთის მიერ მის ოკუპაციამდე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტი არ ყოფილა ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაღრმავება. ამ პერიოდის ამერიკაც არ ინტერესდებოდა კავკასიაში არსებულ ახალგაზრდა რესპუბლიკებთან დიპლომატიური კავშირით. მხოლოდ რუსეთის ხელახალმა ოკუპაციამ 1921 წლის თებერვალში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობამ მის მიერ, გააქტიურა ქართული დიპლომატია და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური დაკავშირების გზები მოაძებნინა. სტატია ეხება საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მიერ 1921-1933 წლებში ამ მიმართებით განხორციელებულ პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და სენატის წევრთა მიერ ემიგრანტული მთავრობისათვის გაწეულ დახმარებას, ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ორ ქვეყანას შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაპყრობილი იყო და მისი დევნილი მთავრობა პარიზში მოღვაწეობდა, აშშ-ს კონგრესისა და სენატის იმ წევრებმა, რომლებსაც ესმოდათ საქართველოს მდგომარეობის სირთულე, თავიანთი მხარდაჭერით ხელი შეუწყვეს მას – ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰყოლოდა მსოფლიოს ამ დიდ ქვეყანაში, რაც დაეხმარებოდა უფრო მტკიცედ დაპირისპირებოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში აშშ-ის საკონსულო 1917 წლიდან მოქმედებდა, საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არც მაშინ და არც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში არ დამყარებულა. ამდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ამიერკავკასიას მოიაზრებდა ერთ ფედერაციაში, რომელიც სომხეთის გარშემო შეიქმნებოდა და მასზე ამერიკის მანდატი გავრცელდებოდა. პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა კავკასიის რეგიონში არსებული ვითარების შესასწავლად რამდენიმე მისია გამოგზავნა, მათ შორის ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჯედსონი, კაპიტანი ბ. მური, გენერალი ჯ. ჰარბორდი და სხვები.

ამდროინდელი ქართველი პოლიტიკოსები სათანადოდ ვერ აცნობიერებდნენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ძლიერი ფაქტორის – აშშ-ის როლს, ამიტომ ამ ქვეყნის ადმინისტრაციასთან დაახლოების გზები ქართულ დიპლომატიას საფუძვლიანად არც მოუსინჯავს. თავის მხრივ, აშშ-ც უნდობლად უყურებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, ამერიკულ მისიებს გვერდი არ აუვლიათ საქართველოსთვის, ისინი გაეცნენ აქ შექმნილ მდგომარეობას და შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ კავკასიისათვის, მისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო ერთი საერთო მანდატი.

1920 წლის 9 თებერვალს აშშ-მ ოფიციალურად განაცხადა უარი აზერბაიჯანისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების ცნობაზე და მხოლოდ სომხეთი აღიარა „დე-ფაქტო“ (ჯანელიძე, 2018, გვ. 244-268).

1918-1921 წლებში საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა ძირითადად საქველმოქმედო-ეკონომიკური საქმიანობით შემოიფარგლებოდა. საქართველოში ამერიკის დახმარება კი სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი, კერძოდ, ფინანსური თანადგომისა და დიპლომატიური მხარდაჭერის სახით. საქართველოს მთავრობას აშშ-სათვის საკუთარ ქვეყანაზე მანდატის დაწესება არ უთხოვია. „ჩვენ არა ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნო, თავის თავის ბატონი“, – აცხადებდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას. იგი მანდატში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფას ხედავდა, მაგრამ მოელოდა, რომ სომხეთის შესვლა ამერიკის მფარველობაში საქართველოსაც გარკვეულად წაადგებოდა. ეს მოლოდინი არ გამართლდა, რადგან ვილსონის გეგმა თვით აშშ-ის სენატმა არ გაიზიარა და საბოლოოდ ჩავარდა (ჭუმბურიძე, 2018, გვ. 227).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ყველა წევრი ასე არ ფიქრობდა. ამის პირდაპირი გამოხატულებაა 1919 წლის 19 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ პარიზის კონფერენციის ქართულ დელეგაციასთან გაგზავნილი წერილი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინ-

ტერესებით განმსჭვალული ჩხენკელი იმ დროს დასაშვებად მიიჩნევდა ინგლისის მანდატს საქართველოზე და წერდა:

„...უნდა დაისვას ნათლად კითხვა: რა ემჯობინება, მანდატი თუ რუსეთის ქაოსში ჩავარდნა? მანდატი, რა თქმა უნდა! მე არ მემინია იმისაც, თუგინდ ინგლისმა შეკვეცოს ჩვენი შინაური მმართველობა, ვინაიდან ამას მხოლოდ დროებითი ხასიათი ექნება და მანდატი კიდევ არ გვისპობს საშუალებას საერთაშორისო ნიადაგზე ვეცადოთ საქმის გამოსწორებას. დემოკრატიის გაძლიერება უეჭველია ინგლისში და სხვაგან, მაშ, მოკავშირეთაც ვიშოვით. იმავე დროს ინგლისი ფეხზე დაგვაყენებს ეკონომიურათ. მე არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ ინგლისს არ ჰქონდეს ინტერესი ჩვენს გამოყოფაში და დამოუკიდებლობაში... ამ საპასუხისმგებლო მომენტში მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს, გთხოვთ; ნუ დააყოვნებთ ერთ წუთსაც, ინახულეთ ინგლისის ხელმძღვანელები და სთხოვეთ მათ იკისრონ ჩვენი მანდატობა“ (სცსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51, ფ. 13).

1920 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის – ბენზრიჯ კოლბის პასუხი იტალიის მთავრობის შეკითხვაზე – თუ როგორ აფასებდა ამერიკის ხელისუფლება რუსეთ-პოლონეთის გამწვავებულ ურთიერთობას, კოლბის ნოტა პოლონეთის გარდა ეხებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში წარმოქმნილ სხვა პოლიტიკურ ერთეულებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსაც, კოლბი აცხადებდა: აშშ არ იწონებს პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას „ე. წ. რესპუბლიკების – საქართველოსა და აზერბაიჯანის შესახებ.“ იზიარებდა რა რუსეთის მთლიანობის იდეას, აშშ-ს ადმინისტრაცია საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს ლტოლვის კანონიერებასაც და ცნობდა მხოლოდ ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის თავისუფლებას. ამ ნოტამ ისე გააღიზიანა საქართველოს ხელისუფლება, განსაკუთრებით სიტყვებმა – „ე.წ. რესპუბლიკები“, როგორაც საქართველო მოიხსენიებოდა, ერთა ლიგისადმი წარდგენილ მემორანდუმში ამაზე აქცენტი სპეციალურად გაკეთდა და ქართულმა მხარემ ასეთი ახსნა გააკეთა:

„საქართველოს მთავრობამ მიიღო ხელისუფლება წარმომადგენლობითი ყრილობიდან, რომელიც იყო რეგულარულათ არჩეული მთელი მოსახლეობის საყოველთაო კენჭისყრით; ყველა საჯარო თავისუფლება, მათ შორის ბეჭდვის თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოში: მართლმსაჯულება, ადგილობრივი თვითმმართველობა, ნაციონალურ უმცირესობათა პრივილეგიები მოწესრიგებულია ფართო ლიბერალურ საფუძვლებზე; ერთის სიტყვით, ყველაფერი, რის უქონლობას აყვედრიან რუსეთის საბჭოთა რეჟიმს, სავსებით განხორციელებულია საქართველოს დაწესებულებებში... ყველგან, მთელ რიგ ქვეყნებში ის ფორმა და სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელნიც დღეს მოქმედებენ საქართველოში, ცნობილია, როგორც რესპუბლიკანური“ (ავალიშვილი, 1925, გვ. 337).

აშშ-ს ამგვარი პოზიცია აბრკოლებდა ქართული სახელმწიფოს აღიარების პროცესს, მაგრამ დაუძლეველ წინააღმდეგობას ადარ წარმოადგენდა იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტი ვილსონი მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოზე ძველებურად ველარ ზემოქმედებდა, რადგან მის მთავრობას რწმუნების ვადა ეწურებოდა.

იმავე 1920 წლის 18 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, რომ ამერიკაში 4 თვის ყოფნის შემდეგ თბილისში დაბრუნდა ამერიკის კონსული დულიტლი, რომელმაც საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრისას აღნიშნა – ამერიკაში ევროპის პოლიტიკური საქმიანობისადმი სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება არისო. ამერიკაში საქართველოს არ იცნობენ, მაგრამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ ყველა ხალხს გამორჩეულად აფასებენო. კონსული

ვარაუდს გამოთქვამდა, რომ როდესაც გარკვეული ეკონომიკური კრიზისი გადაივლიდა, ამერიკა საქართველოსთვისაც მოიცვლიდა. მან ისიც აღნიშნა, რომ ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ, სომხეთზე მანდატის აღების ვალდებულებაც აღარ განიხილებოდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №262).

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, რომელიც, მართალია, აგრესორი რუსეთის ვერაგულად შეფუთული მუხლებით საქართველოსთვის გარკვეულ საფრთხეებს მოიცავდა, მაინც ითამაშა დადებითი როლი ქვეყნის აღიარების პოლიტიკაში, რადგან რუსეთის ფედერაციამ ამ დოკუმენტით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ცნო. ამის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნეს ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, ამას მოჰყვა იაპონიისა და ბელგიის ცნობაც. უცხოეთის არაერთი ქვეყანა დაადგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის იურიდიული აღიარების გზას. ერთადერთი უცხო სახელმწიფო, რომელიც თავს იკავებდა ეცნო საქართველო, იყო აშშ.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას და ქართული სახელმწიფოს ძალადობრივ დამხობას მოჰყვა ახალი საემიგრაციო ტალღა, რაც ახალი ისტორიის პერიოდში რუსეთის იმპერიულ-ძალადობრივი პოლიტიკით განხორციელებული მესამე დიდი საემიგრაციო გადინება იყო (1724, 1802-1810 და 1921-1924). ყველა საემიგრაციო ტალღა უკავშირდებოდა რუსეთის იმპერიულ-ექსპანსიურ ინტერესებს საქართველოში და მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ იმპერიული მეზობლის ექსპანსიურ პოლიტიკას დაპირისპირებოდნენ პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებით და ეპოვათ დიდ და გავლენიან სახელმწიფოთა შორის ამ ბრძოლაში მხარდამჭერი პარტნიორები. პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკა 1921 წელს ევროპაში წასული საქართველოს ემიგრაციული მთავრობისათვის, განსხვავებით წინა სამი წლის დამოკიდებულებისაგან, უკვე სასურველ მოკავშირედ აღიქმებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ ბევრი ქართველი ემიგრანტი წავიდა ამერიკაში. მართალია, ემიგრანტთა ძირითადი ტალღა ევროპაში მოხვდა, მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა მათი ნაწილი ევროპიდან ამერიკაში გადაიყვანა.

ამერიკის განწყობილება კავკასიის მიმართ კარგად იცოდნენ ქართველმა პოლიტიკოსებმა, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ამ დიდი პერსპექტივის მქონე ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასთან დაკავშირებასა და მათი შეხედულებების შემობრუნებას საქართველოს სასარგებლოდ. ვაშინგტონთან საქართველოს დიპლომატიურ დაკავშირებას პარიზში ემიგრირებული საქართველოს მთავრობა, მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, ევროპაში საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი და საგარეო საქმეთა ექსმინისტრი ევგენი გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებული აქტიურობით აკაკი ჩხენკელი გამოირჩეოდა.

1921 წლის შემოდგომაზე პარიზის ქართულმა ლეგაციამ ვაშინგტონში საქართველოს წარმომადგენლად გაგზავნა ილია გოლდმანი და მას, გარკვეული პროპაგანდა-აგიტაციის მიზნით გააყოლა ცნობილი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი.

ილია გოლდმანი იყო ეროვნებით ებრაელი, დაიბადა და აღიზარდა რუსეთში, დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, იყო სოციალ-დემოკრატი, ანტიბოლშევიკი. როგორც იმპერიის არმიის ჯარისკაცი, პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე, მოხვდა ქუთაისში, აქ აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, შემდეგ ამ საბჭოს, რომლის თავმჯდომარე გრიშა ურატაძე იყო, აღმასრულებელი პრეზიდენტის მდივანი გახდა. მრავალი მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. როდესაც ოსმალეთის ფრონტიდან გამოქცეულმა ჯარისკაცებმა როგორც თბილისში, ასევე ქუთაისშიც შექმნეს ანარქიის საფრთხე, მან დიდი როლი ითამაშა ამ საფრთხის გაუვნებელყოფაში (მარჯანიშვილი, 2014, გვ. 189).

როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრი – გიორგი ერაძე იგონებს, 1963 წელს პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ჩვენი დროშა“, ილია გოლდმანი უყუ-

რებდა როგორ შევარდნენ ბოლშევიკი ჯარისკაცები ქუთაისში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ოფისში და როგორ დაარბიეს ის შემახილებით: ამათ ფედერაცია უნდათო. მან თავისებური სიდინჯითა და მჭერმეტყველებით გაანეიტრალა მათი ძალადობა და მშვიდობიანად გაისტუმრა ისინი ქალაქიდან“ (ერაძე, 1963, გვ. 18).

ომის დასრულების შემდეგ ილია გოლდმანი რუსეთში აღარ წავიდა და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. მიწვეული იქნა თბილისში, შრომის სამინისტროში მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე, სადაც მრავალი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმე განახორციელა: დაწერა შრომის კოდექსი, შექმნა სატარიფო პალატა და მომრიგებელი კამერა (ელიგულაშვილი, 2014).

გოლდმანი გაჰყვა საქართველოს ემიგრაციას ევროპაში, დასახლდა პარიზში, საიდანაც გაუშვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს წარმომადგენლად. საბოლოოდ ის ამ ქვეყანაში დარჩა, ეხმარებოდა ქართულ ემიგრაციას, ბოლომდე იცავდა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს, გარდაიცვალა 1963 წლის 26 მაისს ნიუ-იორკში, საქართველოს დამოუკიდებლობის საზეიმო დღეს, სიტყვის წარმოთქმისას, ქართული დროშით ხელში (შარაძე, 1993, გვ. 123).

ვაშინგტონში საქართველოს წარმომადგენლების ჩასვლისას პრეზიდენტი იყო უორენ გამალიელ ჰარდინგი, პრეზიდენტი 1921-1923 წლებში რესპუბლიკური პარტიიდან. ჰარდინგი ერთა ლიგაში აშშ-ის შესვლის წინააღმდეგი იყო. არ დაუშვა საბჭოთა წარმომადგენლები ვაშინგტონის კონფერენციაზე (1921-1922). მიუხედავად ამისა, ჰარდინგის მთავრობას რუსეთის მიმართ ვუდრო ვილსონის მთავრობისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ის მზად იყო ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა ელიარებინა, ხოლო საქართველოს მაშინ ცნობდა, თუ ის რუსეთის ბატონობისგან თავად გაინთავისუფლებდა თავს.

ეს აზრი იკითხება აკაკი ჩხენკელის მიერ 1923 წლის წერილში, სადაც აშშ-საქართველოს იმდროინდელი დამოკიდებულება განხილული (სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფურც. 41).

ამერიკის პოლიტიკურ წრეებში საქართველოსადმი განწყობებს კარგად აჩვენებს ზურაბ ავალიშვილის ნიუ-იორკიდან და ვაშინგტონიდან აკაკი ჩხენკელისადმი გამოგზავნილი წერილები. ამ წერილებიდან ჩანს, როგორ აქტიურობდა ქართული დელეგაცია ვაშინგტონის კონფერენციის ფარგლებში (დაიწყო 1922 წლის 6 დეკემბერს). მას დიდ დახმარებას უწევდა უოლტერ ჩენდლერი, ამერიკელი კონგრესმენი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ამერიკელი ლობისტი. ის განსაკუთრებული აქტიურობით ეხმარებოდა დიპლომატიური ურთიერთობების საკითხში ზურაბ ავალიშვილს. მან შეადგენინა ქართველ ისტორიკოსსა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს – საქართველოს საკითხზე სპეციალური მემორანდუმი, რომელიც ვაშინგტონის კონფერენციას წარუდგინეს. ავალიშვილი ჩხენკელისადმი მოწერილ ერთ-ერთ-წერილში გვაცნობს ამერიკელი სენატორის იმავე თვალსაზრისს, რაზეც ზემოთ მოტანილ ჩხენკელის წერილშია საუბარი: „საქართველოს ამერიკა იცნობს თუ გათავისუფლდება რუსეთის ბატონობისგან. ისე კი ჩვენთვის ცხადია ისტორიული და ნაციონალური საძირკველი საქართველოს დამოუკიდებლობისო“ (სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 494, ფ. 12).

ვაშინგტონის კონფერენციაზე ავალიშვილი ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებსაც შეხვდა და მათგან მიიღო გარანტია, რომ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ცნობაზე ამ კონფერენციაზე ლაპარაკი არ იქნებოდა.

1922 წლის 17 დეკემბერს აშშ-ს სენატმა მიიღო კანონი რუსეთისგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონში გათვალისწინებული არ ყოფილა ამერიკის კავშირის ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა, ამ კანონის მიღების შემდეგ საქართველოში მაინც გამოგზავნეს ამერიკის მთავრობის რწმუნებული – ჰაროლდ ბარტონი, რაც დაუდასტურა ზურაბ ავალიშვილს 1922 წლის 24 დეკემბერს აშშ-ს ვაჭრობის მინისტრმა – ჰუვერმა, რომელმაც მიიღო საქართველოს წარმომადგენელი და აუხსნა შექმნილი ვითარება. ის დაპირდა, რომ საქართველოსაც დაეხმარებოდა, თუკი აქ ვოლგისპირეთის მსგავსი ვითარება დახვდებოდათ (სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 494, ფ. 19).

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის თხოვნას, ამერიკელებს მათთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება დაედოთ შავი ქვისა და ნავთობის მიყიდვის თაპობაზე, ამერიკელებმა უარით უპასუხეს.

ამერიკული ორგანიზაციების საშუალებით ილია გოლდმანმა ბევრი გააკეთა ქართველი ლტოლვილების დასახმარებლად. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ბოლშევიკური რეჟიმისგან დევნილ, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოდან თურქეთში გადასულ ლტოლვილებს. სტამბოლში მყოფ ქართველებს აქ გაჩაღებული სამოქალაქო ომის პირობებში გარკვეული საფრთხე ელოდათ. საქართველოს ლეგაციამ და ილია გოლდმანმა კომისარ ჯონსონის საშუალებით მოლაპარაკებები გამართა საფრანგეთის მინისტრ ედუარდ ერიოსთან, რომელიც, როგორც სოციალისტი, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წევრებთან ახლო ურთიერთობაში იყო, მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – ჟან პოლ ბონკურისა და უცხოელ მუშათა სამსახურის უფროს ჰუიოსთან შეთანხმებით, ამერიკული კომიტეტის დახმარებით ქართველები საფრანგეთში გადაიყვანა (შარაძე, 1998, გვ. 580; დაუშვილი, 2014, გვ. 46).

ილია გოლდმანის მეუღლის – პოლინა ევსევის ასულ გოლდმანის ბიძა იყო ყველაზე ცნობილი ნიუ-იორკული გაზეთის – „ფორვერტის“ რედაქტორი. საქართველოზე შეყვარებული პოლინასა და მისი მეუღლის გავლენით ის დიდ დახმარებას უწევდა ქართველებს ყველა საჭირო საქმის მოგვარებაში.

ილია გოლდმანისა და ზურაბ ავალიშვილის შემდეგ აშშ-ში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნულმა – დავით ღამბაშიძემაც ვერ შეძლო არსებითი ცვლილებების შეტანა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში. ეს ძირითადად საქველმოქმედო და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მხრდამჭერი პოზიციის გამოვლენა იყო.

1926 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის წარმომადგენლად აშშ-ში დანიშნა აქ მცხოვრები ქართველი, მორგანების ბანკის ფინანსისტი ვასილ დუმბაძე. 1882 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში დაბადებულ ვასილს საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. იყო მრავალშვილიანი ოჯახიდან. მამა მღვდელი და განთქმული მგალობელი დავით დუმბაძე იყო, ბიძა კი, გენერალ-მაიორი ივანე დუმბაძე – იმპერატორის ამალის წევრი, იალტის ქალაქის თავი, ისე სახელგანთქმული, რომ ყირიმს მის გამო დუმბაზიასაც კი უწოდებდნენ. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ვასილ დუმბაძე სათავეში ედგა რუსეთის სამხედრო სამინისტროს მმართველების სამსახურს, ტყვია-წამლით ამარაგებდა კავკასიის ფრონტს. მან ამერიკული მორგანების ბანკის საშუალებით მოაგვარა იმპერიის სამხედრო მინისტრ ვლადიმერ სუხომილინოვისათვის 150 მანქანის შეძენა და მიიღო ამერიკაშივე 15 მილიონი მანეთის ყუმბარების შეძენის შეკვეთა. გიორგი მაჩაბელთან ერთად გადაწყვიტა ეს შეკვეთა ფარულად გერმანიაში განეხორციელებინა, საიდანაც მეტი მოგება დარჩებოდათ, რასაც ეროვნული მიზნებისათვის, კერძოდ, რუსეთის ბატონობისგან საქართველოს გასანთავისუფლებლად გამოიყენებდნენ. გერმანელებთან სიახლოვის გამო იმპერატორმა მისი გამოყენებაც სცადა გერმანიასთან სეპარატისტულ ზავზე მოლაპარაკებაში, თუმცა ამ დროს გაიხსნა ყუმბარების სკანდალური საქმე. დუმბაძემ რუსეთი დატოვა და საქართველოში დაბრუნდა. 1918-1921 წლებში ვასილ დუმბაძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის სტრუქტურაში არსებულ სამხედრო დაზვერვასა და კონტრდაზვერვასთან.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, 1924 წელს კი ევროპიდან ამერიკაში ჩავიდა.

1925 წელს ვასილ დუმბაძემ ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი – „კავკასიის რესპუბლიკები, პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა“. დუმბაძის თაოსნობით და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისთვის“. იურისტთა კომისიამ, ამ საზოგადოების მცდელობით, დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება და ევროპაში ემიგრირებული საქართველოს მთავრობის კანონიერება. ჰენრი ვილსონმა 1926 წლის 11 მარტს წინადადება წამოაყენა ამერიკაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის და-

ნიშვნაზე. ორმა ამერიკელმა დეპუტატმა – ნიუ-იორკელმა სენატორმა ს. კოპლენდმა სენატში და ვირჯინიის შტატის დეპუტატმა რ. ვალტონ-მურმა წარმომადგენლობით პალატაში ერთდროულად შეიტანეს მსგავსი მოთხოვნა. მართალია, სენატმა 1926 წლის 1-2 აპრილს სენატორების – ჯონ სტიუ-არტისა და ჰენრი ობდაიკის გამოსვლების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისა და საერთა-შორისო უფლების საკითხი ხელახლა განიხილა და საქართველოს შესახებ სახელმწიფო ხარჯით 361 გვერდიანი წიგნიც კი გამოსცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა („დამოუკიდებელი საქართველო“, 1929, გვ. 42).

განმეორებით საქართველოს საკითხი 1929 წლის 23 აპრილს სენატორმა სამუელ კოპლენდმა მე-17 კონგრესის პირველ სესიაზე შეიტანა, მან დააყენა კავკასიის 4 რესპუბლიკის საკითხი, (საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს დაემატა ჩრდილოეთ კავკასია), საგარეო საქმეთა კომისიაში ბილი ორჯერ წაიკითხეს. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დანიშვნა აშშ-ში აუცილებლობად ჩათვალა და ასეთ წარმომადგენლად ვასილ დუმბაძე დამტკიცდა, რომელმაც აქ მცხოვრები ქართველი წარმატებული მწარმოებელი – მილიონერი გრიგოლ კობახიძე გამოიყენა და ბევრი კეთილი საქმე განახორციელა ამერიკაში ლტოლვილ ქართველთა დასახმარებლად („საქართველო“, 1929, №1).

ამავე 1929 წელს აშშ-ში ცნობილ დიპლომატ ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა ორგანიზაცია „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, რასაც შედეგად მოჰყვა ამერიკის კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა („ბრძოლა“, 1929, №11).

ქართული ლეგაციის გაუქმების შემდეგ ვასილ დუმბაძე შეეცადა ახლადარჩეულ პრეზიდენტ რუზველტისთვის გადაეცა წერილი საქართველოს საკითხის წინ წამოსაწევად. მიუხედავად პრეზიდენტის მდივნისა და აპარატის წევრთა დახმარებისა, ამ ნაბიჯსაც არ მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი. გლობალური პოლიტიკის წამყვანი სახელმწიფო პატივს მიაგებდა დიდი წარსულის მქონე და თავისუფლებისათვის თავდადებულად მებრძოლ ქვეყანას, მაგრამ მისთვის, გარდა ფილანტროპიული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით გაწეული დახმარებისა, მეტის გაკეთება არ უცდია.. მითუმეტეს, ევროპაში 1933 წელს გაუქმდა საქართველოს ლეგაცია, თავად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება კი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ პირთა ნარატივით აკრიტიკებდა კაპიტალისტურ დასავლეთს, ამერიკას მის პირსისხლიან ლიდერად თვლიდა. ამ მხრივ საინტერესოა იოსებ სტალინის მიერ 1927 წლის 5 ნოემბერს დასავლეთ ევროპის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გამოთქმული შეხედულებები, მისი პასუხები დასმულ შეკითხვებზე, სადაც სტალინი დასავლეთის ქვეყნებს, რომელშიდაც ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მოიაზრებდა, უწოდებდა ომის გამჩალებლებს, საქართველოს ყოფილი მთავრობის სოციალ-დემოკრატებს კი სახელმწიფოს მტრებს და კანონზომიერად მიიჩნევდა ამ პარტიის აკრძალვასაც და ციხეებში მათ გამომწყვდევასაც (სტალინი, 1931, გვ. 306-324).

საბჭოთა საქართველოს აშშ-სთან ურთიერთობა ერთადერთი, მანგანუმის კონცესიაზე ამერიკელი მრეწველის – ჰარიმანის ზედამხედველობით გამოიხატებოდა და ისიც, 1928 წელს გავიდა საქართველოდან. მიუხედავად ყველაფრისა, ქართველმა ხალხმა საბჭოთა საქართველოშიც იცოდა რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ამერიკის სახელმწიფოს დახმარებას მშვიდობისა და თავისუფლების მოპოვების საქმეში. ამას მოწმობს საქართველოსთვის უმძიმეს 1936 წელს სამი ხევსურის – ლიქოკელების წერილი ამერიკის მთავრობისადმი. თუნდაც, გულუბრყვილო და გადარჩენის სურვილით ანთებული ეს მიმართვა ნათელი მაგალითია იმისა, ამერიკის დახმარების რა დიდი იმედები ჰქონდა ყოველთვის რეჟიმის მიერ შევიწროებულ ქართველობას და როგორ მისი წრაფვოდა თავისუფლების სიმბოლოდ აღქმული ამ ქვეყნისაკენ.

აშშ-სთან დაახლოების განსაკუთრებული ინტერესი ჩანს აკაკი ჩხენკელის პირად წერილებსა და დღიურებში. ეს ინტერესი აშშ-სადმი მას განსაკუთრებით გაუძლიერდა ვაჟის – ალექსი ჩხენკელის ამერიკაში გადასახლების შემდეგ (ჩხენკელი, 1831) მიუხედავად ქართული ემიგრაციის დიდი

ტალღის არსებობისა და აქტიური მონაწილეობისა, აშშ-ს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ოფიციალური დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობები ამ ქვეყანასთან საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენამდე არ ჰქონია.

მუდმივი გამოწვევებისა და საფრთხეების პირობებში მყოფ ჩვენს ქვეყანას, მისი სახელმწიფოებრიობისა და ნორმალური დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას მუდმივად ესაჭიროება ისეთი სახელმწიფოს თანადგომა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია. ჩვენი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს ამ ურთიერთობის დარეგულირებისადმი მისწრაფება ყოველთვის ჰქონდა და ექნება, მითუმეტეს, როდესაც 2000-იანი წლებიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის ნორმალური დიპლომატიური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებით ქართველმა ხალხმა ბევრი სიკეთე მიიღო. სურვილი იმისა, რომ მსგავსი კავშირები მომავალშიც ხელმისაწვდომი იყოს, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაფართოვების და გაღრმავების გარანტიაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- ავალიშვილი, ზ. (1925). „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, მოგონებანი, ნარკვევები, თბილისი.
- „დამოუკიდებელი საქართველო“, (1929). კავკასია და ამერიკის შეერთებული შტატები, ჟ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 42.
- დაუშვილი, რ. (2014). ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბილისი.
- დუმბაძე, ვ. (1929). წერილი ამერიკიდან, ჟურნალი „ბრძოლა“, 11.
- ერაძე, გ. (1863). მოგონებები, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, პარიზი.
- მარჯანიშვილი, მ. (2014). დიდი ქართული საქმის მსახურნი (ილია ელიგულიაშვილი, ილია გოლდმანი), ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადიერი, VI.
- „საქართველო“, (1929). საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, გაზ. „საქართველო“, 1, პარიზი.
- „საქართველოს რესპუბლიკა“, (1920). საქართველოს გარშემო, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 262.
- სტალინი, ი. (1931). საუბარი უცხოელ მუშათა დელეგაციებთან, 5 ნოემბერი, 1927 წელი, ლენინიზმის საკითხები, ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- სცსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51, ფ.13.
- სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 494, ფ.12.
- სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 494, ფ. 19.
- სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფურც. 41.
- შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ, თბილისი.
- შარაძე, გ. (1998). ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, თბილისი.
- ჩხენკელი, აკ. (1831). აკაკი ჩხენკელის პირადი არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831.
- ჭუმბურიძე, დ. (2018). აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბილისი: „უნივერსალი“.
- ჯანელიძე, ო. (2018). „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აშშ-ს ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი.

References:

- Avalishvili, Z. (1925). „Sakartvelos damouk'idebloba 1918-1921 ts'lebis saertashorisio p'olit'ik'ashi“, mogonebani, nark'vevebi. [“Georgian Independence in International Politics of 1918-1921”, Memoirs, Essays]. Tbilisi.
- Chkhenk'eli, Ak'. (1831). Ak'ak'i Chkhenk'elis p'iradi arkivi. [Personal Archive of Akaki Chkhenkeli]. Sakartvelos tsent'raluri saist'orio arkivi, pondi 1831.
- Ch'umburidze, D. (2018). Ak'ak'i Chkhenk'eli, sakhelmts'ipo moghvats'e, dip'omat'i, mamulishvili. [Akaki Chkhenkeli, Statesman, Diplomat, Mamulishvili]. Tbilisi: „universali“.
- „Damouk'idebeli Sakartvelo“. (1929). K'avk'asia da amerik'is sheertebuli sht'at'ebi. [“Independent Georgia”. Caucasus and the United States of America]. Zh. „damouk'idebeli sakartvelo“, 42.
- Daushvili, R. (2014). Kartuli emigratsia Amerik'ashi. [Georgian Emigration to America]. Tbilisi.
- Dumbadze, V. (1929). Ts'erili amerik'idan. [Letter from America]. Zhurnali „brdzola“, 11.
- Eradze, G. (1863). Mogonebebi. [Memoirs]. Zhurnali „chveni drosha“. P'arizi.
- Janelidze, O. (2018). „Sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'isa da ashsh-s urtiertobis ist'oriidan 1918-1921 ts'lebshi“. Sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is ist'oriis nark'vevebi. [History of Relations between the Democratic Republic of Georgia and the United States in 1918-1921", Essays on the History of the Democratic Republic of Georgia]. Tbilisi.
- Marjanishvili, M. (2014). Didi kartuli sakmis msakhurni (Ilia Eliguliashvili, Ilia Goldmani). [Servants of the Great Georgian Cause (Ilia Eliguliashvili, Ilia Goldman)]. Kutaisis sametsniro bibliotek'is ts'elits'deuli, VI.
- „Sakartvelo“, (1929). Sakartvelo da Amerik'is sheertebuli sht'at'ebi. [Georgia and the United States of America]. Gaz. „Sakartvelo“, 1, P'arizi.
- „Sakartvelos resp'ublik'a“, (1920). Sakartvelos garshemo. [Around Georgia]. Gazeti „Sakartvelos resp'ublik'a“, 262.
- Sharadze, G. (1993). Utskhoetis tsis kvesh. [Under the Sky of a Foreign Country]. Tbilisi.
- Sharadze, G. (1998). Eris ist'oriuli mekhsierrebis dabruneba. [Return of the Historical Memories of the Nation]. Tbilisi.
- St'alini, I. (1931). Saubari utskhoel mushata delegatsiebtan, 5 noemberi, 1927 ts'eli, leninizmis sask'itkhebi. [Conversation with delegations of foreign workers, November 5, 1927, Questions of Leninism]. T'pilisi: sakhelmts'ipo gamomtsemloba.
- Stssa, pondi 1831, Aghts'era 2, sakme 51, p.13. [SSCSA, Fund 1831, Description 2, Case 51, p.13].
- Stssa, pondi 1864, Aghts'era 2, sakme 494, p.12. [SSCSA, Fund 1864, Description 2, Case 494, p.12].
- Stssa, pondi 1864, Aghts'era 2, sakme 494, p. 19. [SSCSA, Fund 1864, Description 2, Case 494, p. 19].
- Stssa, pondi 1864, Aghts'era 2, sakme 719, purts. 41. [SSCSA, Fund 1864, Description 2, Case 719, p. 41].